N 250 02/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვლადიმერ ნანაძის მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ადგილი: ქ.ლანჩხუთი, კუპრეიშვილის ქუჩა.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 1.07.2019 წელი 14:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარის მოადგილე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს წევრი ზაალ სანაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი მოსახლეობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ავალდებულებს საკრებულოს წევრს, რომ წელიწადში ერთხელ თავის ამომრჩევლებს წარუდგინოს ერთი წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რათა მოსახლეობა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სამუშაო განხორციელდა ადმინისტრაციულ ერთეულში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისა და აქტიურად ჩართულობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ ნანაძემ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექის" 88-ე მუხლის თანახმად წარადგინა 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ ანგარიშგება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც არა მარტო გაწეული საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს, არამედ საშუალებას იძლევა გაანალიზონ, თუ რისი გაკეთება შეძლეს და რა შეიძლება დაგეგმონ სამომავლოდ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის დროს ასრულებდა მის მოვალეობას. კერძოდ: თავმჯდომარეობდა საკრებულოს 2 და ბიუროს 1 სხდომას. ასევე საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებში იღებდა მონაწილეობას, 13 სხდომიდან ესწრებოდა 11 სხდომას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ საკრებულოს 24 და ბიუროს 13 სხდომიდან ესწრებოდა ყველა სხდომას.

ასევე, როგორც საკრებულოს წევრი, ყურადღებას უთმობდა მოქალაქეთა მიღებას და მათი პრობლემატური საკითხების შესწავლას, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა ჯანდაცვას, ინფრასტრუქტურას და სოციალურ თემებს.

საკრებულოს წევრმა ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ საკრებულოს ბიუროს სხდომებზე დაყენებული იქნა შემდეგი საკითხები. კერძოდ:

- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე ორი სანიაღვრე არხის გაწმენდის საჭიროება.
- ✓ ქალაქის ცენტრში ამკრძალავი ნიშნების არსებობის მიუხედავად სატვირთო მანქანების დაუმორჩილებლობის გამო დააყენა საკითხი, რომ მეტად გაკონტროლებულიყო უსაფრთხოების ზომები.
- ✓ მაწანწალა ძაღლების ქალაქის ტერიტორიიდან გაყვანის საჭიროება.
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე საპირფარეშოს მოწყობის აუცილებლობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით. ასევე, გადახურული იქნა დაზარალებულ მოსახლეთა საცხოვრებელი სახლები. კერძოდ:

- ✓ 2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 7 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 48 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის მარტის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 12 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 2 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად 9 დაზარალებულ მოსახლეს გადაუხურეს საცხოვრებელი სახლი.

ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

- ✓ გელა ღონღაძის ეზოსთან მდინარე ორაგვისღელეზე მოეწყო ყორე ქვის გაბიონი.
- ✓ კვირკველიას ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე ღელის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა.
- ✓ ცაბაძის ქუჩაზე სანიაღვრე მოეწყო არხები.
- ✓ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში აღდგა შიდა გზები.
- ✓ მდინარე ლაშისღელეზე ურუშაძის ქუჩის მიმდებარედ ორ ადგილზე 30+20=50 გრძ/მ მდინარის ნაპირსამაგრი გაბიონი მოეწყო.
- ✓ ქალაქის მაჩხვარეთთან დამაკავშირებელ გზაზე მოეწყო ყორე ქვის გაბიონი.
- ✓ ლაშისღელეში ქუჩებზე მოეწყო სანიაღვრე არხები.

მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესაბამისად ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მედიკამენტებზე შეძენის პროგრამით ისარგებლა 82

ბენეფიციარმა, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით 7 ბენეფიციარმა, მრავალშვილიან ოჯახთა პროგრამით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამით (ქირავნობით)- 25 ბენეფიციარმა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ ნანაძემ მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ აღენიშნათ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემები.

ქ.ლანჩხუთის ბაგრატიონის ქუჩის მცხოვრებმა ჟორა ცინცაძემ აღნიშნა, რომ მელიორაციის სამსახურის მიერ არ მოხდა არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რის გამოც ლაშისღელის საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა არ არის, რაც ხელს უშლის მოსახლეობას სიმინდის თესვის პროცედურების განხორციელებაში. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ დროულად მოხდეს მოლაპარაკებები მელიორაციის სამსახურთან, რათა აღდგენილი იქნას საყანე ფართობებთან მისასველი გზა. მან ასევე აღნიშნა, რომ მე-2-ე საჯარო სკოლასთან მიმდინარეობს მაღაზიის მშენებლობა. მიწის ნაკვეთის ნაწილი, როგორც გაირკვა განათლების სამინისტროს საკუთრებას წარმოადგენს, რის გამოც წარმოიშვა პრობლემა. მან თხოვა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაში დახმარება.

მოქალაქე გოგი სანაძემ აღნიშნა, რომ მე-2-ე საჯარო სკოლის სპორტ დარბაზში უამინდობის დროს ჩამოდის წყალი და ითხოვა აღნიშნული საკითხის მოგვარება.

დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე ქალაქის მოსახლეობას დაპირდა, რომ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტს ყველა იმ პრობლემას, რომელიც აწუხებს ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პატივისცემით,

ვლადიმერ ნანაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო